



KA070178330095916



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N03/421

30 / დეკემბერი / 2016 წ.

ქ.თბილისი

### საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N104 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის N197 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების საფუძველზე.

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართი N5-ის (5.1, 5.2, 5.3) შესაბამისად.
2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სტრუქტურულმა ქვედანაყოფებმა 2017-2020 წლების ბიუჯეტების დაგეგმვისას იხელმძღვანელონ ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N5-ის შესაბამისად, ხოლო დანართი N5-ის სრულყოფისა და კორექტირების შესახებ წარმოადგინონ შესაბამისი წინადადებები.
2. ბრძანების კოორდინაცია დაევალოს ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტს (ზ. მიმინოშვილი).
3. ბრძანების კონტროლი დაევალოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეს გ. ბაქრაძეს.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2016 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 1 ივლისის N02/646 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი



მიხეილ გიორგაძე